საწვრთნელი მატჩი
“დინამო” (თბილისი) – “ტორპედო” (მოსკოვი)

სოხუმი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). 16 მარტს სოხუმის სტადიონზე გაიმართა საწვრთნელი მატჩი “ა” კლასის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის “დინამო” და მოსკოვის “ტორპედო”. გუნდები მოედანზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: “დინამო” – მარღანია, ელოშვილი, რუსაძე, ხოჭოლავა, მახარაძე, დავარაშვილი, კოტრიკაძე, კ. გაგნიძე, კურტანიძე, ღოღობერიძე, ხასაია; “ტორპედო” – დენისენკო, ტარასოვი, ვასინი, არხიპოვი, სენიუკოვი, ბუტილკინი, ილინი, ნეჩაევი, ანისიმოვი, ჩიჟოვი, ზოლოტოვი. თამაშს სჯიდა ს. ესაკია (სოხუმი).

მატჩის წინ თითქმის მთელი დღე წვიმდა. სველი, მძიმე გრუნტი მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს თამაშის ნორმალურ მსვლელობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორივე გუნდმა თავიდანვე მეტად სწრაფი ტემპი აიღო. მატჩის დასაწყისში ტორპედოელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მოწინააღმდეგის კართან და გაიტანეს კიდეც ბურთი, მაგრამ მათი ერთ–ერთი თავდამსხმელი “თამაშგარე” მდგომარეობაში აღმოჩნდა. ცოტა ხანში მოსკოველთა კართან პირისპირ გავიდა გაგნიძე, მაგრამ მისი საბოლოო დარტყმა არ იყო ზუსტი. დაახლოებით მე–15 წუთიდან ინიციატივა დიდი ხნით გადადის “ტორპედოს” მხარეს და თამაშის მთელი სიმძიმე აწვება თბილისელთა მცველებს. 25–ე წუთზე ილინი სწრაფად გავიდა თავის ფრთაზე და დაბალი ბურთი ჩააწოდა კარის წინ, სადაც იგი მიიღო ანისიმოვმა და ათიოდე მეტრიდან ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ დინამოელები გამოცოცხლდნენ, მაგრამ თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი. 42–ე წუთზე კურტანიძე გაიჭრა მოწინააღმდეგის კარის წინ, მაგრამ მცველებმა იგი აკრძალული ხერხით გააჩერეს. 11–მეტრიანი გამოიყენა ღოღობერიძემ – 1:1.

შესვენების შემდეგ “დინამოში” კურტანიძისა და მახარაძის ნაცვლად გამოვიდნენ კალოევი და ნ. გაგნიძე. მოსკოველთა გუნდში ტარასოვი შეცვალა სამოხინმა. პირველივე წუთებიდან მოედანს დაეუფლნენ თბილისელები, რომლებიც განუწყვეტლივ უტევდნენ მოწინააღმდეგის კარს. მე–80 წუთზე არხიპოვმა საჯარიმო მოედანზე ხელით დაიჭირა კოტრიკაძე. ღოღობერიძის მიერ დარტყმული პენალტი ნახტომით მოიგერია დენისენკომ, მაგრამ იმის გამო, რომ მოსკოველთა ერთ–ერთმა მცველმა დაარღვია წესი, “ტორპედოს” კარში განმეორებით იქნა დანიშნული 11–მეტრიანი საჯარიმო. დენისენკომ შესანიშნავი ნახტომით კვლავ აიღო ღოღობერიძის მიერ დარტყმული ბურთი. ორი წუთის შემდეგ კოტრიკაძე მოულოდნელად შეიჭრა “ტორპედოს” საჯარიმო მოედანზე და ძლიერად დაარტყა კარში. ბურთი მოხვდა ძელს, შემდეგ მეკარეს და გავიდა კარში – 2:1. კიდევ ერთი წუთის შემდეგ დენისენკომ მიუტევებლად დატოვა კარი და ღოღობერიძემ ანგარიში გაზარდა – 3:1–მდე თავისი გუნდის სასარგებლოდ. თბილისელები ამ თამაშში ფიზიკურად კარგად მომზადებული აღმოჩნდნენ, თამაშობდნენ სწრაფ ტემპში, მაგრამ ისინი ხშირად ერთობიან ზედმეტი გადაცემებით, ბურთის ტარებით და გარდა ამისა, სრული ძალით არ თამაშობენ ფლანგებზე.

ა. სოკოლოვი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.
20 მარტი, 1955 წ.